


# იაპონიის კონსტიტუცია

## იაპონიის კონსტიტუცია



იაპონიის კონსტიტუციის საჯაროდ გამოცხადება იაპონიის იმპერატორი (ცენტრში) კითხულობს იაპონიის კონსტიტუციის შესახებ ბრძანებულებას 1946 წლის 3 ნოემბერს კონსტიტუციის საჯაროდ გამოცხადების აღსანიშნავ ცერემონიაზე (ფოტო Mainichi Shimbun-ისგან)

ჩვენ, იაპონელმა ხალხმა, რომლებიც ვმოქმედებთ ჩვენ მიერ ეროვნულ პარლამენტში ჯეროვნად არჩეული წარმომადგენლების საშუალებით, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ უნდა უზრუნველვყოთ საკუთარი თავი და შთამომავლობა, ერთიანი მშვიდობიანი თანამშრომლობის ნაყოფით და თავისუფლების სიკეთით მთელს მიწაზე. გადავწყვიტეთ, რომ მთავრობის მოქმედებით აღარასდროს დაგვატყდება თავს ომის საშინელება; ვაცხადებთ, რომ სუვერენული ძალაუფლება სუფევს ხალხთან და მტკიცედ ვიღებთ ამ კონსტიტუციას. მთავრობა ხალხის ნდობით არის აღჭურვილი, რომლის უფლებამოსილება ხალხიდან მომდინარეობს და მის ძალაუფლებას იყენებენ ხალხის წარმომადგენლები და რომლის სიკეთით სარგებლობს ხალხი. წინამდებარე კონსტიტუცია დამყარებულია კაცობრიობის უნივერსალურ

პრინციპებზე. ჩვენ უარვყოფთ და ვაუქმებთ ყველა კონსტიტუციას, კანონს, დადგენილებასა და ბრძანებულებას, რომელიც აღნიშნულთან წინააღმდეგობაში მოვა.

ჩვენ, იაპონელ ხალხს, ყოველთვის გვსურს მშვიდობა და სრულად ვაცნობიერებთ მაღალ იდეალებს, რომლებიც ადამიანურ ურთიერთობას განაგებენ. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს, შევინარჩუნოთ ჩვენი უსაფრთხოება და არსებობა ისე, რომ გვჯეროდეს მსოფლიოს მშვიდობის-მოყვარე ხალხების სამართლიანობისა და რწმენის. ჩვენ გვსურს დავიკავოთ ღირსეული ადგილი საერთაშორისო საზოგადოებაში ისე, რომ ყოველთვის ვესწრაფოდეთ მშვიდობის შენარჩუნებას; ტირანიის, მონობის, ჩაგვრისა და შეუწყნარებლობის განდევნას დედამიწიდან. ჩვენ ვაღიარებთ, რომ მსოფლიოს ყველა ხალხს აქვს უფლება იცხოვროს მშვიდობიანად და იყოს თავისუფალი შიშისა და გასაჭირისგან.



**იაპონიის კონსტიტუცია** - კონსტიტუციის ორიგინალი დაცულია ეროვნულ არქივში. ზემოთ, გვერდის მარჯვენა კუთხეში, განთავსებულია პრეამბულის გვერდი ცენტრსა და გვერდის მარცხნივ იმპერატორის ბეჭდითა და იმპერატორისა და სახელმწიფო მინისტრების ხელმოწერებით (ფოტო იაპონიის ეროვნული არქივიდან).

ჩვენ გვჯერა, რომ არცერთი ერი მარტო არ აგებს პასუხს საკუთარი თავზე და რომ პოლიტიკური მორალურობის კანონები უნივერსალურია და რომ ასეთი კანონების მორჩილება სავალდებულოა ყველა ერისათვის, რომელსაც სურს შეინარჩუნოს თავისი სუვერენიტეტი და გაამართლოს თავისი სუვერენული ურთიერთობა სხვა ერებთან.

ჩვენ, იაპონელი ხალხი, ვფიცავთ ჩვენს ეროვნულ ღირსებას, რომ განვახორციელებთ ამ მაღალ იდეალებსა და მიზნებს მთელი ჩვენი შესაძლებლობებით.

**თავი I. იმპერატორი**

**მუხლი 1.** იმპერატორი უნდა იყოს სახელმწიფოსა და ხალხის ერთიანობის სიმბოლო და მისი მდგომარეობა უნდა გამომდინარეობდეს ხალხის ნებიდან, რომელთანაც სუფევს სუვერენული ძალაუფლება.

**მუხლი 2.** იმპერატორის ტახტი უნდა იყოს დინასტიური და მისი გადაცემა უნდა ხდებოდეს პარლამენტის მიერ იმპერატორის კარის თაობაზე მიღებული კანონის შესაბამისად.

**მუხლი 3.** იმპერატორის სახელმწიფო საქმეებთან დაკავშირებულ ყველა ქმედებას ესაჭიროება კაბინეტის რჩევა და დასტური და კაბინეტი უნდა იყოს ამაზე პასუხისმგებელი.

**მუხლი 4.** იმპერატორი სახელმწიფოს საქმეების აღსრულებისას უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კონსტიტუციით დადგენილი ქმედებებით და მას არ უნდა გააჩნდეს ძალაუფლება, რომელიც მთავრობასთან არის დაკავშირებული.

იმპერატორმა შეიძლება სხვას მიანდოს სახელმწიფო საქმეებთან დაკავშირებული მისი ქმედებების შესრულება, რამდენადაც ეს შეიძლება კანონით იყოს გათვალისწინებული.

**მუხლი 5.** როდესაც, იმპერატორის კარის თაობაზე კანონის შესაბამისად წესდება რეგენტობა, რეგენტმა იმპერატორის სახელით უნდა განახორციელოს თავისი სახელმწიფო საქმეებთან დაკავშირებული ქმედებები. ამ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება წინა მუხლის პირველი პუნქტი.

**მუხლი 6.** იმპერატორმა უნდა დანიშნოს პრემიერმინისტრი, რომელიც დასახელებული იქნება პარლამენტის მიერ. იმპერატორმა უნდა დანიშნოს უზენაესი სასამართლოს მთავარი მოსამართლე, რომელიც დასახელებული იქნება კაბინეტის მიერ.

იმპერატორმა უნდა დანიშნოს უზენაესი სასამართლოს მთავარი მოსამართლე, რომელიც დასახელებული იქნება კაბინეტის მიერ.

**მუხლი 7.** ხალხის სახელით, კაბინეტის რჩევითა და დასტურით, იმპერატორმა უნდა განახორციელოს სახელმწიფო საქმეებთან დაკავშირებული შემდეგი ქმედებები: კონსტიტუციაში, კანონებში, კაბინეტის განკარგულებებში და შეთანხმებებში ცვლილებების შეტანის გამოცხადება; პარლამენტის მოწვევა; წარმომადგენელთა პალატის დაშლა; პარლამენტის წევრების საყოველთაო არჩევნების გამოცხადება; სახელმწიფო მინისტრების და სხვა თანამდებობის პირების დანიშვნის, გადაყენებისა და ელჩებისა და მინისტრების სრული ძალაუფლებისა და მანდატების დამტკიცება, როგორც კანონითაა გათვალისწინებული; საყოველთაო და სპეციალური ამნისტიის, სასჯელის შემსუბუქების, სასჯელის გადადების და უფლებების აღდგენის დამტკიცება; ჯილდოების მინიჭება; რატიფიკაციისა და სხვა დიპლომატიური დოკუმენტების დამოწმება, როგორც კანონითაა გათვალისწინებული; უცხოელი ელჩებისა და მინისტრების მიღება; ფორმლობების შესრულება.

**მუხლი 8.** პარლამენტის ნებართვის გარეშე იმპერატორის კარი ვერ გასცემს და ვერ მიიღებს რაიმე საკუთრებას და ვერც ვერაფერს გააჩუქებს.

## თავი II. ომზე უარის თქმა

**მუხლი 9.** იაპონელი ხალხი, რომელიც გულით ესწრაფის სამართლიანობაზე და წესრიგზე დაფუძნებულ საერთაშორისო მშვიდობას, სამუდამოდ უარს აცხადებს ომზე, როგორც ერის სუვერენულ უფლებაზე და ძალის, როგორც საერთაშორისო უთანხმოების მოგვარების საშუალების, გამოყენებაზე თუ მისით მუქარაზე. იმისათვის, რომ წინა პუნქტის მიზანი მიღწეულ იქნას, სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალები, ისევე, როგორც ომის სხვა პოტენციალი, არასოდეს იქნება შენახული. არ მოხდება საომარი მდგომარეობის უფლების ცნობა.

## თავი III. ხალხის უფლებები და მოვალეობები

**მუხლი 10.** პირობები, რომლებიც საჭიროა იაპონიის მოქალაქედ ყოფნისთვის, დადგენილი უნდა იყოს კანონით.

**მუხლი 11.** არ უნდა შეეშალოს ხალხს ხელი, ისარგებლოს ადამიანთა ნებისმიერი ფუნდამენტური უფლებით. ადამიანთა ეს ფუნდამენტური უფლებები, რომლებიც კონსტიტუციით არის ხალხისთვის გარანტირებული, უნდა გადაეცეთ ამ და მომავალი თაობებს, როგორც მუდმივი და შეუღებავი უფლებები.

**მუხლი 12.** თავისუფლება და უფლებები, რომლებიც კონსტიტუციით არის გარანტირებული ხალხისთვის, უნდა შენარჩუნდეს ხალხის მუდმივი ძალისხმევით, რომელიც თავს შეიკავებს ამ თავისუფლების და უფლებების ბოროტად გამოყენებისაგან და ყოველთვის პასუხისმგებელი იქნება გამოიყენოს ის საზოგადო კეთილდღეობისთვის.

**მუხლი 13.** ყველა ადამიანს, როგორც პიროვნებას, უნდა მიეგოს პატივი - მათ უფლებას, იცოცხლონ, იყვნენ თავისუფალნი და ეძიონ ბედნიერება, თუკი ეს ხელს არ უშლის საზოგადოებრივ კეთილდღეობას, უნდა ენიჭებოდეს უზენაესი მნიშვნელობა კანონმდებლობასა და სხვა სამთავრობო საქმეებში.

**მუხლი 14.** ყველა ადამიანი კანონით თანასწორია და პოლიტიკურ, ეკონომიკურ ან სოციალურ ურთიერთობებში არ უნდა მოხდეს დისკრიმინაცია რასის, მრწამსის, სქესის, სოციალური სტატუსისა თუ ოჯახური წარმომავლობის გამო. არ უნდა მოხდეს მაღალი წოდების ცნობა. არ უნდა ახლდეს რაიმე პრივილეგია რომელიმე ჯილდოს, წარჩინებას, ორდენსა თუ ნებისმიერ გამორჩეულობას, არც უნდა იყოს ასეთი ჯილდო მოქმედი ამჟამინდელი თუ მომავალი მფლობელის სიცოცხლის დასრულების შემდეგ.

**მუხლი 15.** ხალხს აქვს უცილობელი უფლება, აირჩიოს თანამდებობის პირები და გაათავისუფლოს ისინი.

ყველა თანამდებობის პირი ემსახურება მთელს საზოგადოებას და არა მის რომელიმე ჯგუფს. ზრდასრული ადამიანების უფლება, მონაწილეობა მიიღონ თანამდებობის პირების არჩევნებში, გარანტირებულია. ყველა არჩევნებში, კენჭისყრის ფარულობა არ უნდა იყოს დარღვეული. ხმის მიმცემს არ უნდა მოეთხოვებოდეს პასუხი, საჯაროდ თუ პირისპირ, იმ არჩევანისთვის, რომელიც მან გააკეთა.

**მუხლი 16.** ყველა პიროვნებას უნდა ჰქონდეს უფლება მშვიდობიანად მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება, თანამდებობის პირების გადაყენება, კანონების, ბრძანებულებების თუ რეგულაციების გატარება, გაუქმება თუ მათში ცვლილებების შეტანა, და სხვა საკითხები; და არცერთი პირი არ უნდა იყოს დისკრიმინირებული ასეთი მოთხოვნის გაკეთებისთვის.

**მუხლი 17.** ყოველ პირს შეუძლია მოსთხოვოს სახელმწიფოს თუ სამთავრობო ინსტიტუტს ზარალის ანაზღაურება, როგორც კანონით არის გათვალისწინებული, იმ შემთხვევაში თუ მან მიიღო ზარალი რომელიმე თანამდებობის პირის უკანონო ქმედებით.

**მუხლი 18.** არც ერთი ადამიანი არ უნდა იყოს რამენაირად შეზღუდული. აკრძალულია არანება-ყოფლობითი თავისუფლების შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დანაშაულისთვის ხდება სასჯელის მოხდა.

**მუხლი 19.** ფიქრის და სინდისის თავისუფლება არ უნდა იყოს დარღვეული.

**მუხლი 20.** რელიგიის თავისუფლება გარანტირებულია ყველასთვის. არცერთმა რელიგიურმა ორგანიზაციამ არ უნდა მიიღოს რაიმე პრივილეგია სახელმწიფოსგან და არ უნდა განახორციელოს რაიმე პოლიტიკური ძალაუფლება. არცერთი პირი არ უნდა იყოს იძულებული, მიიღოს მონაწილეობა რაიმე რელიგიურ ქმედებაში, დღესასწაულში, წესში თუ პრაქტიკაში სახელმწიფომ და მისმა ორგანოებმა თავი უნდა შეიკავონ რელიგიური განათლების თუ სხვა რაიმე რელიგიური საქმიანობისაგან.

**მუხლი 21.** თავშეყრისა და ასოციაციად ჩამოყალიბების, ისევე როგორც სიტყვის, პრესისა და გამოხატვის ყველა სხვა ფორმის უფლება გარანტირებულია. არ უნდა იყოს დაცული ცენზურა, არ უნდა იყოს დარღვეული კომუნიკაციის რომელიმე საშუალების კონფიდენციალურობა.

**მუხლი 22.** ყველა პირს უნდა ჰქონდეს უფლება აირჩიოს და შეცვალოს თავისი საცხოვრებელი ადგილი და აირჩიოს თავისი სპეციალობა რამდენადაც ეს ხელს არ უშლის საზოგადო კეთილდღეობას.

არ უნდა იქნას შელახული არცერთი პირის თავისუფლება, რომ გაემგზავროს სხვა ქვეყანაში და უარი თქვას საკუთარ მოქალაქეობაზე.

**მუხლი 23.** გარანტირებულია აკადემიური თავისუფლება.

**მუხლი 24.** ქორწინება დაფუძნებული უნდა იყოს მხოლოდ ორივე სქესის თანხმობაზე და მისი შენარჩუნება უნდა მოხდეს ორმხრივი თანამშრომლობით, რისი საფუძველიც იქნება ქმრისა და ცოლის თანაბარი უფლებები.

რაც შეეხება მეუღლის არჩევას, საკუთრების უფლებებს, მემკვიდრეობას, საცხოვრებელი ადგილის არჩევას, გაყრას და ქორწინებასთან და ოჯახთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, კანონები ძალაში უნდა შევიდეს პიროვნული ღირსებისა და სქესთა შორის უცილობელი თანასწორობის გათვალისწინებით.

**მუხლი 25.** ყველა პირს უნდა ჰქონდეს უფლება იქონიოს ჯანსაღი და კულტურული ცხოვრების მინიმალური სტანდარტები.

ცხოვრების ყველა სფეროში, სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს თავისი ძალისხმევა, რომ წინ წაწიოს და განავრცოს სოციალური კეთილდღეობა, უსაფრთხოება და საზოგადო ჯანდაცვა.

**მუხლი 26.** ყველა პირს უნდა ჰქონდეს უფლება, მიიღოს თანაბარი განათლება, რომელიც შეესაბამება მათ შესაძლებლობებს, როგორც კანონით არის გათვალისწინებული.

**მუხლი 27.** ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება და ვალდებულება, რომ იმუშაოს. ანაზღაურებასთან, საათებთან, დასვენებასთან და სხვა სამუშაო პირობებთან დაკავშირებული სტანდარტები უნდა იყოს კანონით დადგენილი. არ უნდა მოხდეს ბავშვების ექსპლუატაცია.

**მუხლი 28.** მშრომელთა უფლება, მოახდინონ ორგანიზება, მოილაპარაკონ და კოლექტიურად იმოქმედონ, გარანტირებულია.

**მუხლი 29.** საკუთრების ქონის ან ფლობის უფლება შეუღლებია. საკუთრების უფლებები უნდა იყოს კანონით განსაზღვრული, რაც თანხმობაში უნდა მოდიოდეს საზოგადო კეთილდღეობასთან. შეიძლება მოხდეს კერძო საკუთრების ჩამორთმევა საზოგადო სარგებლობის მიზნით სამართლიანი კომპენსაციის სანაცვლოდ.

**მუხლი 30.** ხალხი უნდა დაექვემდებაროს გადასახადების გადახდას, როგორც კანონით არის გათვალისწინებული.

**მუხლი 31.** არცერთ პირს არ უნდა წაერთვას სიცოცხლე ან თავისუფლება, არც რაიმე სხვა სისხლის სამართლებრივი სასჯელი უნდა დაეკისროს, თუ ეს არ ხდება კანონით დადგენილი პროცედურით.

**მუხლი 32.** არცერთ პირს არ უნდა ეთქვას უარი სასამართლოში მისვლის უფლებაზე.

**მუხლი 33.** არ უნდა მოხდეს არცერთი პირის დაპატიმრება, თუ არა სასამართლოს კომპეტენტური მოხელის მიერ გამოშვებული ორდერის საფუძველზე, სადაც დაკონკრეტებულია ბრალდების მიზეზი თუ მისი დაკავება არ მოხდა დანაშაულის ჩადენის პროცესში.

**მუხლი 34.** არ უნდა მოხდეს არცერთი პირის დაპატიმრება თუ საპრცობილემი გაჩერება ისე, რომ მაშინვე არ ეცნობოს მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებზე ან დაუყოვნებლივი ადვოკატის პრივილეგიის გარეშე; არ უნდა მოხდეს მისი დაპატიმრება ადეკვატური მიზეზის გარეშე; და ნებისმიერი პირის მოთხოვნაზე ეს მიზეზი დაუყოვნებლივ უნდა იყოს გამჟღავნებული სასამართლოს ღია სხდომაზე მისი და მისი ადვოკატის თანდასწრებით.

**მუხლი 35.** პირთა უფლებები, რომ იყოს დაზღვეული მათი სახლები, დოკუმენტები და ქონება, შესვლის, ჩხრეკის და ჩამორთმევისგან არ უნდა იყოს შეღავათი, თუ არა ორდერით, რომელიც გამოშვებულია ადეკვატური მიზეზით და კონკრეტულად აღწერს ადგილს, რომელიც უნდა გაიჩხრიკოს და ნივთებს, რომელთა ჩამორთმევაც უნდა მოხდეს, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც გათვალისწინებულია 33-ე მუხლში.

თითოეული ჩხრეკვა თუ ჩამორთმევა უნდა მოხდეს ცალკეული ორდერით, რომელიც სასამართლოს კომპეტენტური მოხელის მიერ იქნება გამოშვებული.

**მუხლი 36.** სრულიად აკრძალულია რომელიმე თანამდებობის პირის მიერ წამება და სასტიკი მოპყრობა.

**მუხლი 37.** სისხლის სამართლის ყველა საქმეში ბრალდებულმა უნდა ისარგებლოს მიუკერძოებული სასამართლოს მიერ ჩატარებული გადაუდებელი და ღია პროცესით. მას უნდა მიეცეს სრული შესაძლებლობა, გამოვიტხოს ყველა მოწმე და მას უნდა ჰქონდეს მისთვის მოწმეების სასამართლოში იძულების წესით გამოძახების უფლება, სახელმწიფოს ხარჯზე. ბრალდებულს დახმარებას ყოველთვის უნდა უწევდეს კომპეტენტური ადვოკატი, რომელიც, იმ შემთხვევაში თუ ბრალდებულს არ შეუძლია ეს უზრუნველყოს საკუთარი ძალისხმევით, მისთვის სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს დანიშნული.

**მუხლი 38.** არცერთი პირი არ უნდა იყოს იძულებული ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ. აღიარება, რომელიც გაკეთდება იძულებით, წამების ან მუქარის შედეგად, ან გაჭიანურებული პატიმრობის თუ საპრობილემო გაჩერების შემდეგ, არ იქნება დამამტკიცებელ საბუთად მიღებული. არცერთი პირი არ უნდა გასამართლდეს და არ უნდა დაისაჯოს იმ შემთხვევებში, როდესაც ერთადერთი დამამტკიცებელი საბუთი მის წინააღმდეგ არის მისი აღიარება.

არცერთი პირი არ უნდა იყოს იძულებული ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ.

**მუხლი 39.** არცერთი პირი არ უნდა იყოს პასუხისმგებელი სისხლის სამართლებრივი ქმედების გამო, რომელიც კანონიერი იყო მისი ჩადენის დროს ან რომელშიც ის გამართლდა; ასევე, არცერთი პირი ერთი და იგივე დანაშაულისთვის ორჯერ არ უნდა გასამართლდეს.

**მუხლი 40.** ნებისმიერი პირს, იმ შემთხვევაში თუ ის გამართლდა, დაპატიმრების თუ საპრობილემო ყოფნის შემდეგ, შეუძლია მოითხოვოს სახელმწიფოსგან ზარალის ანაზღაურება, როგორც კანონით არის გათვალისწინებული.

#### **თავი IV. პარლამენტი**

**მუხლი 41.** პარლამენტი უნდა იყოს სახელმწიფო ძალაუფლების უზენაესი ორგანო და სახელმწიფოს ერთადერთი საკანონმდებლო ორგანო.

**მუხლი 42.** პარლამენტი უნდა შედგებოდეს ორი პალატისაგან, სახელდობრ წარმომადგენელთა პალატა და მრჩეველთა პალატა.

**მუხლი 43.** ორივე პალატა უნდა შედგებოდეს არჩეული წევრებისგან, რომლებიც არიან მთელი ხალხის წარმომადგენლები. თითოეული პალატის წევრების რაოდენობა კანონით უნდა იყოს განსაზღვრული.

**მუხლი 44.** ორივე პალატის წევრთა და ამომრჩეველთა კვალიფიკაციები დაწესებული უნდა იყოს კანონით. თუმცა, არ უნდა მოხდეს დისკრიმინაცია რასის, მრწამსის, სქესის, სოციალური სტატუსის, წარმომავლობის, განათლების, ქონებისა თუ შემოსავლის თვალსაზრისით.

**მუხლი 45.** წარმომადგენელთა პალატის წევრთა თანამდებობის ვადა უნდა იყოს ოთხი წელი. თუმცა, ვადა შეიძლება დასრულდეს სრული პერიოდის ამოწურვამდე იმ შემთხვევაში, თუ წარმომადგენელთა პალატა დაიშლება.

**მუხლი 46.** მრჩეველთა პალატის წევრების თანამდებობის ვადა უნდა იყოს ექვსი წელი და წევრთა ნახევრის არჩევა უნდა ხდებოდეს ყოველ სამ წელიწადში ერთხელ.

**მუხლი 47.** საარჩევნო უბნები, კენჭისყრის მეთოდი და ორივე პალატის წევრთა არჩევის მეთოდთან დაკავშირებული სხვა საკითხები კანონით უნდა იყოს განსაზღვრული.

**მუხლი 48.** არცერთ პირს არ უნდა მიეცეს ნება ერთდროულად იყოს ორივე პალატის წევრი.

**მუხლი 49.** ორივე პალატის წევრებმა ეროვნული ხაზინიდან უნდა მიიღონ სათანადო ყოველწლიური ანაზღაურება კანონის შესაბამისად.

**მუხლი 50.** გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, ორივე პალატის წევრები ვერ იქნებიან დაპატიმრებულნი, სანამ პარლამენტის სხდომა მიმდინარეობს და ნებისმიერი წევრი, რომელიც დაპატიმრებული იქნება სხდომის გახსნის წინ, უნდა გათავისუფლდეს სხდომის განმავლობაში პალატის მოთხოვნით.

**მუხლი 51.** არცერთი პალატის წევრები ამ პალატის გარეთ არ აგებენ პასუხს პალატის შიგნით წარმოთქმულ სიტყვებზე, დებატებსა და კენჭისყრაზე.

**მუხლი 52.** პარლამენტის რიგითი სხდომის მოწვევა უნდა მოხდეს წელიწადში ერთხელ.

**მუხლი 53.** კაბინეტმა შეიძლება მოითხოვოს პარლამენტის საგანგებო სხდომის მოწვევა. როდესაც რომელიმე პალატის სრული წევრების მეოთხედი ან მეტი აკეთებს ასეთ მოთხოვნას, კაბინეტმა უნდა დაადგინოს ასეთი მოწვევა.

**მუხლი 54.** როდესაც წარმომადგენელთა პალატა იშლება, წარმომადგენელთა პალატის წევრების საყოველთაო არჩევნები უნდა ჩატარდეს მისი დაშლიდან ორმოცი (40) დღის განმავლობაში, ხოლო პარლამენტი მოწვეული უნდა იყოს არჩევნების თარიღიდან ოცდაათ (30) დღეში. როდესაც წარმომადგენელთა პალატა იშლება, იმავდროულად იხურება მრჩეველთა პალატაც. თუმცა, კაბინეტმა, სახელმწიფოში საგანგებო მდგომარეობის დროს, შეიძლება მოიწვიოს მრჩეველთა პალატის საგანგებო სხდომა. ასეთ სხდომაზე მიღებული ზომები, როგორც მოხსენებული იყო წინა პუნქტის დებულებაში უნდა იყოს დროებითი და უნდა გაუქმდეს, თუ ამას არ დაეთანხმება წარმომადგენელთა პალატა პარლამენტის მომდევნო სხდომის გახსნიდან ათი (10) დღის განმავლობაში.

**მუხლი 55.** თითოეულმა პალატამ უნდა განსაჯოს წევრების კვალიფიკაციებთან დაკავშირებული დავები. თუმცა, იმისათვის, რომ უარი ეთქვას რომელიმე წევრს თანამდებობაზე, საჭიროა, გატარდეს რეზოლუცია წარმოდგენილი წევრების ორი მესამედის ან უფრო მეტის უმრავლესობით.



**მუხლი 56.** საქმე ვერ იწარმოებს ვერცერთ პალატაში, თუ წევრების სრული რაოდენობის ორი მესამედი ან უფრო მეტი არ არის წარმოდგენილი.

ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს თითოეულ პალატაში ამ დამსწრეების უმრავლესობით. თუ სადმე სხვანაირად არ არის მოცემული კონსტიტუციაში და ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, თავმჯდომარემ უნდა გადაწყვიტოს საკითხი.

**მუხლი 57.** საკითხის განხილვა თითოეულ პალატაში უნდა იყოს საჯარო. თუმცა, შეიძლება გაიმართოს ფარული შეხვედრა, სადაც დამსწრე წევრების უმრავლესობა ორი მესამედიტ ან მეტით გაატარებს ამისთვის რეზოლუციას.

თითოეულმა პალატამ უნდა აწარმოოს ოქმების ჩაწერა. ეს ოქმი უნდა გამოიცეს მასიური ტირაჟით, გარდა ფარული სხდომის ოქმების ისეთი ნაწილებისა, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნას კონფიდენციალურად. თუ დამსწრე წევრების ერთმა მეხუთედმა ან მეტმა მოითხოვა, წევრების კენჭისყრა (ნებისმიერ საკითხზე) შეტანილი უნდა იყოს ოქმებში.

**მუხლი 58.** თითოეულმა პალატამ უნდა აირჩიოს თავისი პრეზიდენტი და სხვა თანამდებობის პირები. მან უნდა დააწესოს თავის წესები, რომლებიც უკავშირდება შეხვედრებს, საქმის წარმოებასა და შიდა დისციპლინას; თითოეულმა პალატამ შეიძლება დასაჯოს წევრები უწყსრიგო ქცევისთვის. თუმცა, იმისათვის რომ გარიცხოს წევრი, დამსწრე წევრების უმრავლესობამ, ორმა მესამედმა ან მეტმა, უნდა გაატაროს რეზოლუცია ამის შესახებ.

**მუხლი 59.** კანონპროექტი ხდება კანონი, როდესაც მას ორივე პალატა ამტკიცებს, იმ შემთხვევაში თუ მოცემულ კონსტიტუციაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. კანონპროექტი, რომელიც გატარებულიქნა წარმომადგენელთა პალატის მიერ და რომლის შესახებაც მრჩეველთა პალატას გამოაქვს წარმომადგენელთა პალატისგან განსხვავებული გადაწყვეტილება, ხდება კანონი მაშინ, როდესაც მას მეორედ უყრიან კენჭს წარმომადგენელთა პალატის დამსწრე წევრები და მას მხარს უჭერს ამ უკანასკნელთა ორი-მესამედი ანდა უფრო მეტი.

წინა პუნქტის დებულება ხელს არ უშლის წარმომადგენელთა პალატას, რომ მოითხოვოს ორივე პალატის ერთობლივი კომისიის შეხვედრა, რაც კანონით არის გათვალისწინებული. თუ მრჩეველთა პალატა ვერ მოახერხებს, მოახდინოს საბოლოო რეაგირება წარმომადგენელთა პალატის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტზე, მისი მიღებიდან სამოცი (60) დღის განმავლობაში, რაც არის სავარაუდო დრო დასვენების დღეების ჩათვლით, წარმომადგენელთა პალატის მიერ შეიძლება მიღებულიქნეს გადაწყვეტილება, რომ ბათილად გამოცხადდეს ეს დოკუმენტი.

**მუხლი 60.** ბიუჯეტი თავიდან უნდა წარედგინოს წარმომადგენელთა პალატას. ბიუჯეტის განხილვისას, როდესაც მრჩეველთა პალატა იღებს წარმომადგენელთა პალატისგან განსხვავებულ გადაწყვეტილებას და როდესაც ვერ მიიღწევა შეთანხმება თვით ორივე პალატის ერთობლივი კომისიის მიერაც, რაც კანონით არის გათვალისწინებული, ან თუ მრჩეველთა პალატა ვერ ახერხებს განახორციელოს შესაბამისი ქმედება წარმომადგენელთა პალატის მიერ

გატარებული ბიუჯეტის მიღებიდან ოცდაათი (30) დღის ვადაში, დასვენებების დღეების გამოკლებით, წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილება უნდა იყოს პარლამენტის გადაწყვეტილება.

**მუხლი 61.** წინა მუხლის მეორე პუნქტი ასევე ვრცელდება პარლამენტის დასტურზე, რომელიც სავალდებულოა ხელშეკრულებების დასადებად.

**მუხლი 62.** თითოეულმა პალატამ შეიძლება ჩაატაროს კვლევა მთავრობასთან დაკავშირებით და მოითხოვოს მოწმეების თანხლება, ჩვენება და ჩანაწერების გაკეთება.

**მუხლი 63.** სახელმწიფოს პრემიერმინისტრი და სხვა მინისტრები, იმისდა მიუხედავად, არიან თუ არა ისინი პალატის წევრები, შეიძლება ნებისმიერ დროს გამოჩნდნენ ან ერთ ან მეორე პალატაში, რათა ისაუბრონ კანონპროექტებთან დაკავშირებით. ისინი უნდა გამოჩნდნენ პალატებში საჭიროების შესაბამისად, რათა უპასუხოთ კითხვებზე და გასცენ ახსნა-განმარტებები.

**მუხლი 64.** პარლამენტმა უნდა დააწესოს იმპიჩმენტის სასამართლო ორივე პალატის წევრებისგან იმისათვის, რომ გაასამართლოს ის მოსამართლეები, რომელთა წინააღმდეგაც გადაყენების პროცესი დაწესდა. იმპიჩმენტთან დაკავშირებული საკითხები კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული.

## თავი V. კაბინეტი

**მუხლი 65.** კაბინეტი არის აღმასრულებელი ძალაუფლებით აღჭურვილი.

**მუხლი 66.** კაბინეტი უნდა შედგებოდეს პრემიერ მინისტრისგან, რომელიც უნდა იყოს მისი ხელმძღვანელი და სხვა სახელმწიფო მინისტრებისგან, როგორც კანონით არის გათვალისწინებული. პრემიერმინისტრი და სხვა სახელმწიფო მინისტრები უნდა იყვნენ სამოქალაქო პირები. კაბინეტი აღმასრულებელი ძალაუფლების განხორციელებისას კოლექტიურად პასუხისმგებელი უნდა იყოს პარლამენტის მიმართ.

**მუხლი 67.** პრემიერ მინისტრის დანიშვნა უნდა მოხდეს პარლამენტის წევრებიდან პარლამენტის დადგენილებით. ეს დადგენილება ყველა სხვა საქმეს უნდა უძღვოდეს წინ. თუ წარმომადგენელთა პალატას მრჩეველთა პალატა არ ეთანხმება და თუ შეთანხმება ვერ მიიღწევა პალატების ერთობლივი კომისიის მეშვეობითაც, რაც გათვალისწინებულია კანონით. ან თუ მრჩეველთა პალატა ვერ ახერხებს პრემიერმინისტრის დანიშვნას დასვენების პერიოდის ჩაუთვლელად ათი (10) დღის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც წარმომადგენელთა პალატამ მოახდინა პრემიერმინისტრის დანიშვნა, წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილება უნდა იყოს პარლამენტის გადაწყვეტილება.

**მუხლი 68.** პრემიერმინისტრმა უნდა დანიშნოს სახელმწიფო მინისტრები. თუმცა, მათი რაოდენობის უმრავლესობა არჩეული უნდა იყოს პარლამენტის წევრებიდან.

პრემიერმინისტრს შეუძლია დაითხოვოს სახელმწიფო მინისტრები თავისი არჩევანის მიხედვით.

**მუხლი 69.** თუ წარმომადგენელთა პალატა გაატარებს უნდობლობის რეზოლუციას ან დაიწუნებს ნდობის რეზოლუციას, მთელი კაბინეტი უნდა გადადგეს, თუ წარმომადგენელთა პალატა არ შეწყვეტს ფუნქციონირებას ათ (10) დღეში.

**მუხლი 70.** როდესაც პრემიერ მინისტრის პოსტზე ვაკანსია ან პარლამენტის პირველ მოწვევაზე წარმომადგენელთა წევრების საყოველთაო არჩევნების შემდეგ, მთელი კაბინეტი უნდა გადადგეს.

**მუხლი 71.** წინა ორ მუხლში მოხსენებულ შემთხვევებში, კაბინეტმა უნდა განაგრძოს თავისი ფუნქციები, სანამ ახალი პრემიერმინისტრი დაინიშნებოდეს.

**მუხლი 72.** პრემიერმინისტრი წარადგენს კაბინეტს, წარადგენს კანონპროექტებს, პარლამენტს მოახსენებს საერთო სახელმწიფო საქმეებსა და საგარეო ურთიერთობებზე და ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას ხვადასხვა ადმინისტრაციულ განშტოებაზე.

**მუხლი 73.** სხვა ადმინისტრაციულ ფუნქციებთან ერთად კაბინეტმა უნდა შეასრულოს შემდეგი ფუნქციები:

ერთგულად გაუწიოს კანონს ადმინისტრირება; წარმართოს სახელმწიფოს საქმეები. მართოს საგარეო საქმეები. დადოს ხელშეკრულებები. თუმცა, ამისთვის მან უნდა მოპოვოს პარლამენტის წინსაწარი ან გარემოებათა შესაბამისი დასტური. წარმართოს სახელმწიფო სამოქალაქო სამსახური კანონით დაწესებული სტანდარტების შესაბამისად. მოამზადოს ბიუჯეტი და წარუდგინოს პარლამენტს. პრაქტიკაში გაატაროს კაბინეტის მითითებები იმისათვის, რომ განახორციელოს კონსტიტუციის და კანონის დებულებები. თუმცა, ამ მითითებებში ვერ იქნება დასჯის პირობები შეყვანილი, თუ ამის უფლება კანონით არ ექნება კაბინეტს მინიჭებული. კაბინეტის ფუნქციაში შედის ასევე ზოგადი ამნისტიის, ცალკეული ამნისტიის, სასჯელის შემსუბუქების, სასჯელის გადადებისა და უფლებების აღდგენის დადგენა.

**მუხლი 74.** ყველა კანონი და კაბინეტის მითითება ორმხრივ ხელმოწერილი უნდა იყოს კომპეტენტური სახელმწიფო მინისტრისა და პრემიერმინისტრის მიერ.

**მუხლი 75.** სახელმწიფო მინისტრები თანამდებობაზე ყოფნისას არ უნდა დაექვემდებარონ სასამართლო სარჩელს პრემიერმინისტრის თანხმობის გარეშე, თუმცა ამით არ ილახება ამ ქმედების უფლება.

## თავი VI. სამართალწარმოება

**მუხლი 76.** მთელი სასამართლო ძალაუფლებით აღჭურვილია უზენაესი სასამართლო და სხვა კანონით განსაზღვრული მასზე დაქვემდებარებული სასამართლოები. არ უნდა დაწესდეს საგანგებო ტრიბუნალი, არც რომელიმე აღმასრულებელ ორგანოს თუ სააგენტოს არ უნდა მიეცეს გადაწყვეტი სასამართლო ძალაუფლება. ყველა მოსამართლე დამოუკიდებელი უნდა იყოს

იმოქმედოს თავისი სინდისით და მხოლოდ უნდა ემორჩილებოდეს ამ კონსტიტუციასა და კანონებს.

**მუხლი 77.** უზენაესი სასამართლო აღჭურვილია ნორმების დადგენის ძალაუფლებით, რომლითაც ის ადგენს პროცედურების, პრაქტიკების და ნდობით აღჭურვილ პირებთან დაკავშირებული საკითხების ნორმებს, სასამართლოს შიდა დისციპლინასა და სასამართლო საქმეების წარმართვას.

საჯარო პროკურატორები უნდა დაექვემდებარონ უზენაესი სასამართლოს ნორმების დადგენის ძალაუფლებას.

უზენაეს სასამართლოს შეუძლია გადასცეს ასეთ სასამართლოებს ნორმების შექმნის ძალაუფლება მასზე დაქვემდებარებული სასამართლოებისთვის.

**მუხლი 78.** მოსამართლეები უნდა იქნან გადაყენებულნი საჯარო იმპიჩმენტის საშუალებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი სასამართლო წესით ცხადდებიან გონებრივად ან ფიზიკურად არაკომპეტენტურად თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებაში. არ უნდა მოხდეს დისციპლინარული ზომის გამოყენება მოსამართლეების წინააღმდეგ რომელიმე აღმასრულებელი ორგანოს თუ სააგენტოს მიერ.

**მუხლი 79.** უზენაესი სასამართლო უნდა შედგებოდეს მთავარი მოსამართლისგან და მოსამართლეების ისეთი რაოდენობით, რომელიც შეიძლება, რომ იყოს კანონით დადგენილი; ყველა ეს მოსამართლე, მთავარი მოსამართლის გარდა, უნდა დაინიშნოს კაბინეტის მიერ. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნა განხილული უნდა იყოს ხალხის მიერ წარმომადგენელთა პალატის წევრების პირველ საყოველთაო არჩევნებზე, რომელიც მოჰყვება მათ დანიშვნას და ათი (10) წლის გასვლის შემდეგ, ისევ უნდა იყოს მოსამართლეთა დანიშვნა განხილული წარმომადგენელთა პალატის წევრების პირველ საყოველთაო არჩევნებზე და იგივე წესით.

წინა პუნქტში მოხსენებულ შემთხვევებში, როდესაც ამომრჩეველთა უმრავლესობა მხარს უჭერს მოსამართლის გადაყენებას, ის უნდა იქნას გადაყენებული.

განხილვასთან დაკავშირებული საკითხები კანონით უნდა იყოს დადგენილი.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა სამსახური უნდა შეწყვიტონ, როდესაც კანონით დადგენილ ასაკს მიაღწევენ.

ყველა ამ მოსამართლემ, რეგულარულად დადგენილი ინტერვალებით, უნდა მიიღოს ადეკვატური ანაზღაურება, რომელიც არ უნდა შემცირდეს მათი თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში.

**მუხლი 80.** ქვემდგომი სასამართლოების მოსამართლეები უნდა დაინიშნონ კაბინეტის მიერ უზენაესი სასამართლოს მიერ დასახელებული პირების სიიდან. ყველა ეს მოსამართლე თანამდებობაზე უნდა დარჩეს ათი (10) წლის ვადით და კვლავ დანიშვნის პრივილეგიით, მხოლოდ, ისინი სამსახურიდან უნდა წავიდნენ, როდესაც მიაღწევენ კანონით დადგენილ ასაკს.

დაქვემდებარებული სასამართლოების მოსამართლეებმა რეგულარული ინტერვალებით უნდა მიიღონ ადეკვატური კომპენსაცია, რომელიც არ უნდა შემცირდეს მათი თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში.

**მუხლი 81.** უზენაესი სასამართლო არის ბოლო ინსტანციის სასამართლო, რომელსაც აქვს ძალაუფლება დაადგინოს კანონის, ბრძანების, რეგულაციის თუ ოფიციალური აქტის შესაბამისობა კონსტიტუციასთან.

**მუხლი 82.** სასამართლო პროცესები უნდა ჩატარდეს და განაჩენის გამოცხადება უნდა მოხდეს საჯაროდ. როდესაც სასამართლო ერთსულოვნად დაადგენს, რომ საჯაროობა სახიფათოა საზოგადო წესრიგისთვის ან მორალისთვის, პროცესი უნდა წარიმართოს დახურული წესით, მაგრამ პოლიტიკური სამართალდარღვევის პროცესები, ან იმ სამართალდარღვევების პროცესები, რომელთა დროსაც ადგილი აქვს პოლიტიკურ ან სხვა სახის ზეწოლას ან შემთხვევებს, რომლის დროსაც საქმე ეხება წინამდებარე კონსტიტუციის III თავში ხალხისთვის გარანტირებულ უფლებებს, ყოველთვის საჯაროდ უნდა ჩატარდეს.

## თავი VII. ფინანსები

**მუხლი 83.** სახელმწიფოს ფინანსების წარმართვის ძალაუფლება უნდა აღსრულდეს ისე, როგორც პარლამენტი დაადგენს.

**მუხლი 84.** არ უნდა მოხდეს ახალი გადასახადების დაკისრება ან არსებულის შეცვლა თუ არა კანონით ან ისეთი მდგომარეობით, რომელსაც კანონი შეიძლება ითვალისწინებდეს.

**მუხლი 85.** ფული არ უნდა დაიხარჯოს და ვალდებულება არ უნდა ითავოს სახელმწიფომ, თუ ამის უფლებამოსილება პარლამენტის მიერ არ არის მინიჭებული.

**მუხლი 86.** კაბინეტმა უნდა მოამზადოს და პარლამენტს წარუდგინოს განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად ბიუჯეტი ყოველ ფისკალურ წელს.

**მუხლი 87.** იმისათვის რომ გათვალისწინებული იყოს გაუთვალისწინებელი დეფიციტები ბიუჯეტში, პარლამენტის მიერ შეიძლება დაწესებული იყოს სარეზერვო ფონდი, რომლიდანაც ხარჯვა კაბინეტის პასუხისმგებლობით უნდა მოხდეს. კაბინეტმა პარლამენტისაგან უნდა მოიპოვოს შემდგომი დასტური სარეზერვო ფონდიდან ყველა გაწეული ხარჯისთვის.

**მუხლი 88.** იმპერატორის სახლის მთელი ქონება უნდა ეკუთვნოდეს სახელმწიფოს. იმპერატორის სახლის ყველა ხარჯი პარლამენტის მიერ უნდა იყოს შეტანილი ბიუჯეტში.

**მუხლი 89.** სამთავრობო ფულადი საშუალებები ან სხვა საკუთრება არ უნდა იქნას გაცემული ან გაწერილი მოსახმარად, მოსაგებად ან შესანახად ძალაუფლების მქონე საჯარო ორგანოს ქვეშ არ

მყოფი რომელიმე რელიგიური ინსტიტუტის თუ ასოციაციის, ან საქველმოქმედო, საგანმანათლებლო თუ სამოხალისეო წარმოებისთვის.

**მუხლი 90.** სახელმწიფოს ხარჯებისა და შემოსავლების საბოლოო ანგარიშებს აუდიტი უნდა ჩაუტარდეთ ყოველწლიურად სააუდიტო კომისიის მიერ და წარედგინოს პარლამენტს კაბინეტის მიერ აუდიტის მოხსენებასთან ერთად ფისკალური წლის განმავლობაში, როგორც კი შესაბამისი პერიოდი დასრულდება. აუდიტის კომისიის ორგანიზაცია და კომპეტენტურობა კანონით უნდა იყოს დადგენილი.

**მუხლი 91.** კაბინეტმა რეგულარული ინტერვალებითა და სულ მცირე, ყოველწლიურად უნდა მოახსენოს პარლამენტს და ხალხს სახელმწიფო ფინანსების შესახებ.

## თავი VIII. ადგილობრივი თვითმმართველობა

**მუხლი 92.** ადგილობრივი სამთავრობო ინსტიტუტების ორგანიზაციისა და მუშაობის რეგულაციები უნდა იყოს კანონით დაწესებული ადგილობრივი ავტონომიის პრინციპით.

**მუხლი 93.** ადგილობრივმა სამთავრობო ინსტიტუტებმა უნდა შექმნან ასამბლეები, რომლებიც წარმოადგენენ მათ ნებაყოფილობით ორგანოებს კანონის შესაბამისად.

ყველა ადგილობრივი საჯარო პირის მთავარი აღმსარებელი პირები, მათი ასამბლეების წევრები და სხვა ამგვარი ადგილობრივი მოხელეები კანონით დადგენილი წესის შესაბამისად არჩეული უნდა იყვნენ პირდაპირი სახალხო კენჭისყრით მათი ადგილობრივი ამომრჩევლების მიერ.

**მუხლი 94.** ადგილობრივ სახელმწიფო ინსტიტუტებს უნდა ჰქონდეთ უფლება, რომ მართონ თავიანთი საკუთრება, საქმეები და ადმინისტრაცია და გაატარონ თავიანთი რეგულაციები კანონის ფარგლებში.

**მუხლი 95.** საგანგებო კანონი, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ ერთი ადგილობრივი სახელმწიფო ინსტიტუტისთვის, ვერ განხორციელდება პარლამენტის მიერ, თუკი აღნიშნული ადგილობრივი სახელმწიფო ინსტიტუტის ამომრჩეველთა უმრავლესობის კანონის თანახმად მოპოვებულ არ იქნა თანხმობა.

## თავი IX. ცვლილებების შეტანა

**მუხლი 96.** ცვლილებები ამ კონსტიტუციაში ინიცირებული უნდა იყოს პარლამენტის მიერ, თითოეული პალატის ყველა წევრის ორი მესამედის ან მეტის თანხვედრი ხმებით და ამის შემდეგ წარედგინოს ხალხს დასამტკიცებლად, რომელიც უნდა საჭიროებდეს ხმათა უმრავლესობას სპეციალურ რეფერენდუმზე ან პარლამენტის მიერ დაწესებულ არჩევნებზე.

ამგვარად, რატიფიცირებული ცვლილებები დაუყოვნებლივ უნდა იქნას გამოცხადებული იმპერატორის მიერ ხალხის სახელით, როგორც წინამდებარე კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილი.

## თავი X. უზენაესი კანონი

**მუხლი 97.** წინამდებარე კონსტიტუციით იაპონელი ხალხისთვის გარანტირებული ფუნდამენტური ადამიანთა უფლებები არის ნაყოფი უხსოვარი დროიდან ადამიანის ბრძოლისა იყოს თავისუფალი; ის გადაურჩა გამძლეობის მრავალ რთულ გამოცდასა და ენიჭება ამ და მომავალ თაობას იმ იმედით, რომ ყოველთვის შეულახავად შენარჩუნდება.

**მუხლი 98.** ეს კონსტიტუცია უნდა იყოს სახელმწიფოს უზენაესი კანონი და არცერთი კანონი, განაწესი, საიმპერატორო დადგენილება თუ სხვა სამთავრობო აქტი, ან მისი ნაწილი, რომელიც ეწინააღმდეგება მის დებულებებს, არ უნდა იყოს სამართლებრივი ძალის მქონე. იაპონიის მიერ გაფორმებული შეთანხმებები და ერთა მიერ დაწესებული კანონები ერთგულად უნდა იქნას დაცული.

**მუხლი 99.** იმპერატორი ან რეგენტი, ისევე როგორც სახელმწიფო მინისტრები, პარლამენტის წევრები და ყველა სხვა სახელმწიფო მოხელე ვალდებულია პატივი სცეს და მხარი დაუჭიროს წინამდებარე კონსტიტუციას.

## თავი XI. დამატებითი დებულებები

**მუხლი 100.** წინამდებარე კონსტიტუცია ძალაში უნდა შევიდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ექვსი თვის პერიოდის გასვლის შემდეგ. ამ კონსტიტუციის ამოქმედებისთვის საჭირო კანონების გატარება, მრჩველთა პალატის წევრების არჩევნები და პარლამენტის მოწვევის პროცედურა და წინამდებარე კონსტიტუციის ამოქმედებისთვის საჭირო სხვა მოსამზადებელი პროცედურები შეიძლება აღსრულდეს წინა პუნქტში მითითებულ დღემდე.

**მუხლი 101.** თუ მრჩველთა პალატა არ არის დადგენილი წინამდებარე კონსტიტუციის მოქმედ ვადამდე, წარმომადგენელთა პალატამ უნდა იმოქმედოს, როგორც პარლამენტმა იმ დრომდე, სანამ მრჩველთა პალატა დადგინდება.

**მუხლი 102.** თანამდებობაზე ყოფნის ვადა მრჩველთა პალატის წევრების ნახევრისთვის, რომლებიც წინამდებარე კონსტიტუციის თანახმად პირველ ეტაპზე მსახურობენ, უნდა იყოს სამი წელი. ამ კატეგორიაში მოხვედრილი წევრები კანონის შესაბამისად უნდა იყვნენ განსაზღვრულნი.

**მუხლი 103.** სახელმწიფო მინისტრები, წარმომადგენელთა პალატის წევრები და თანამდებობაზე მყოფი მოსამართლეები და ყველა სხვა სახელმწიფო მოხელე, რომელთაც უკავიათ წინამდებარე



კონსტიტუციის მიერ აღიარებული თანამდებობების შესაბამისი პოზიციები წინამდებარე კონსტიტუციის ძალაში შესვლის დროს, არ უნდა გათავისუფლდნენ თანამდებობიდან ავტომატურად წინამდებარე კონსტიტუციის ძალაში შესვლისას თუ სხვანაირად არ არის კანონით გათვალისწინებული. მხოლოდ, როდესაც უკვე მოხდება მათი საქმის გამგრძელებლების არჩევა ან დანიშვნა წინამდებარე კონსტიტუციის დებულებების თანახმად, ისინი ავტომატურად უნდა იქნენ განთავისუფლებულნი თავიანთი პოზიციებიდან.

გამოქვეყნების თარიღი: 3 ნოემბერი, 1946 წელი. ძალაში შესვლის თარიღი: 3 მაისი, 1947 წელი.